ანა ბაღაშვილი

ინგლისურენოვანი ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

კოიმბრას უნივერსიტეტი, პორტუგალია

ჩემი გაცვლითი გამოცდილება კოიმბრას უნივერსიტეტში, პორტუგალიაში დაუვიწყარი იყო. უზომოდ მადლიერი ვარ კავკასიის უნივერსიტეტის, რომელმაც უკვე მეორედ მომცა უცხო ქვეყანაში სწავლის საოცარი შესაძლებლობა ბილატერალური გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.

აქ საშუალება მომეცა რომ გავცნობოდი არაჩვეულებრივ პორტუგალიურ კულტურას, უგემრიელეს სამზარეულოს, დაუვიწყარ ბუნებას და მდიდარ ისტორიას. შევძელი ისეთ ადამიანებთან შეხვედრა, რომლებიც ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილი გახდნენ და ჩემს სამუდამო მეგობრებად იქცნენ.

ეს გამოცდილება ჩემთვის მხოლოდ აკადემიური მიღწევებით არ შემოიფარგლება – მან ჩემს პიროვნულ ზრდასა და პროფესიულ განვითარებაზეც უდიდესი გავლენა მოახდინა. უცხო ქვეყანაში სწავლამ მაჩვენა თუ როგორ ვიყო დამოუკიდებელი, როგორ გადავლახო სირთულეები და როგორ მივენდო საკუთარ თავს, რაც თვითგანვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია. ვისწავლე როგორ მივიღო გადაწყვეტილებები და როგორ გავიზარდო პიროვნულად.

კიდევ ერთხელ მინდა გადავუხადო მადლობა კავკასიის უნივერსიტეტს იმისთვის, რომ ჩემს აკადემიურ და პიროვნულ განვითარებაში ასეთი დიდი როლი ითამაშა.